ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 285 (18527) შაბათი, 11 დეკემბერი, 1982 წელი ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

დღეს თბილისში გაიმართება სსრ კავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ, ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲚᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოკრუგების, საქალაქო და სასოფლო რაიონების, გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებმა საიუბილეო წელს ახალი შრომითი წარმატებანი მოიპოვეს. უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წარმოების მოცულობისა და ეფექტიანობის ამაღლება, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, კიდევ უფრო განვითარდა განათლება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. სოციალისტური შეჯიბრების დროს მკაფიოდ გამოვლინდა ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ურღვევი მეგობრობა, თანამშრომლობა და ძმური ურთიერთდახმარება.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის, ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ:

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ	ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ
ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ	ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲡᲡᲠ
ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲡᲡᲠ	ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ
ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ	ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ
ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ	ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ	ᲗᲣᲠᲥᲛᲔᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ	ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ
ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲡᲡᲠ	

გადაწყდა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშები სამუდამოდ დარჩეს მოკავშირე რესპუბლიკებში.

გამარჯვებულებად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ:

ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

რუსეთის სფს რესპუბლიკაში: ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ, ყალმუხეთის ასსრ, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ, თათრეთის ასსრ, ჩუვაშეთის ასსრ, იაკუტიის ასსრ, კრასნოდარის მხარე, კრასნოიარსკის მხარე, სტავროპოლის მხარე, ასტრახანის ოლქი, ქ. ლენინგრადი, ლენინგრადის ოლქი, მაგადანის ოლქი, ქ. მოსკოვი, მოსკოვის ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი, ტომსკის ოლქი, ტიუმენის ოლქი;

უკრაინის სს რესპუბლიკაში: ვოლინის ოლქი, იმიერკარპატის ოლქი, ქ. კიევი, ყირიმის ოლქი;

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში: ბრესტის ოლქი, გროდნოს ოლქი;

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში: ყარაყალპაყეთის ასსრ, ტაშკენტის ოლქი, ხორეზმის ოლქი;

ყაზახეთის სს რესპუბლიკაში: კუსტანაის ოლქი;

საქართველოს სს რესპუბლიკაში: აფხაზეთის ასსრ;

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში: ნახიჩევანის ასსრ;

ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში: ნარინის ოლქი;

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში: კურგან-ტიუბის ოლქი;

თურქმენეთის სს რესპუბლიკაში: აშხაბადის ოლქი;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, მრეწველობაში სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის;

რუსეთის სფს რესპუბლიკაში: ბაშკირეთის ასსრ, ზღვისპირეთის მხარე, ვლადიმირის ოლქი, გორკის ოლქი, ივანოვოს ოლქი, კალინინგრადის ოლქი, სარატოვის ოლქი;

უკრაინის სს რესპუბლიკაში: ოდესის ოლქი, როვნოს ოლქი, ხარკოვის ოლქი, ხერსონის ოლქი;

ყაზახეთის სს რესპუბლიკაში: აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქი, გურიევის ოლქი, ჩიმკენტის ოლქი;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, უმნიშვნელოვანეს სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულებისათვის.

რუსეთის სფს რესპუბლიკაში: ბელგოროდის ოლქი;

უკრაინის სს რესპუბლიკაში: ჩერკასის ოლქი;

ყაზახეთის სს რესპუბლიკაში: აქტიუბინსკის ოლქი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ქალაქები

რუსეთის სფს რესპუბლიკაში: აზბესტი, ბალაკოვო, ბალაშიხა, ბიისკი, ბლაგოვეშჩენსკი (საოლქო), ბრეჟნევი, ბრიანსკი, გროზნო, დიმიტროვგრადი, დონის როსტოვი, ელიზოვო, ვოლგოგრადი, ვოლოგდა, ვორონეჟი, იაროსლავლი, იჟევსკი, იუჟნო-სახალინსკი, ირკუტსკი, იოშკარ-ოლა, კალინინი, კალუგა, კიროვი (საოლქო), კოსტრომა, კოტლასი, კოხმა, კრასნოკამენსკი, კუიბიშევი (საოლქო), კურგანი, კურსკი, მახაჩყალა, მურმანსკი, ნეფტეკამსკი, ნოვგოროდი, ნოვოროსიისკი, ნორილსკი, ომსკი, ორენბურგი, ორიოლი, პენზა, პერმი, პეტროზავოდსკი, რიაზანი, სარანსკი, სმოლენსკი, სოსნოვი ბორი, სურგუთი, სიქტივკარი, ტულა, ჩელიაბინსკი;

უკრაინის სს რესპუბლიკაში: ბერდიანსკი, გორლოვკა, დნეპროპეტროვსკი, დონეცკი, ვოროშილოვგრადი, ივანო-ფრანკოვსკი, კრემენჩუგი, ლვოვი, ნიკოლაევი (საოლქო), სვეტლოვოდსკი, სევასტოპოლი, სუმი, ტერნოპოლი, ჩერნიგოვი;

ბელორუსიის სს რესპუბლიკაში: გომელი, ვიტებსკი, მინსკი;

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში: ნავოი, ნამანგანი, სამარყანდი, ტაშკენტი;

ყაზახეთის სს რესპუბლიკაში: ალმა-ათა, ნოვი უზენი, ტალდი-კურგანი, ცელინოგრადი, ყარაგანდა;

საქართველოს სს რესპუბლიკაში: თბილისი, ქუთაისი;

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში: ბაქო, მინგეჩაური;

ლიტვის სს რესპუბლიკაში: კაუნასი, შიაულიაი;

მოლდავეთის სს რესპუბლიკაში: კიშინიოვი;

ლატვიის სს რესპუბლიკაში: რიგა;

ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში: ფრუნზე, ჯალალ-აბადი;

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში: ლენინაბადი;

სომხეთის სს რესპუბლიკაში: ერევანი, კიროვაკანი;

თურქმენეთის სს რესპუბლიკაში: აშხაბადი;

ესტონეთის სს რესპუბლიკაში: ტალინი;

ხანტი-მანსის ავტონომიური ოლქი, 8 ქალაქის და 224 სოფლის რაიონი.

გამარჯვებულებად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დააჯილდოვეს:

მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციების 879 კოლექტივი, მათ შორის 517 შეიტანეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სრულიად საკავშირო საპატიო დაფაზე;

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო გაერთიანებების, სამეურნეობათშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების 750 კოლექტივი, მათ შორის 250 შეიტანეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სრულიად საკავშირო საპატიო დაფაზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს ღრმად და მრავალმხრივ გააანალიზონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. იხელმძღვანელონ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით და შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისა და მისი ქმედითობის ამაღლებისათვის, მუშაობის ხელშემშლელი მიზეზების აღმოფხვრისათვის, რათა დაამკვიდრონ საიუბილეო შეჯიბრების შრომითი მიღწევები, ახალი წლის პირველი დღეებიდანვე უზრუნველყონ თითოეული შრომითი კოლექტივის, დარგის, რაიონის, ქალაქის, ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის მიერ დადგენილი სახელმწიფო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. მოაწყონ საკავშირო შეჯიბრების გამარჯვებულთა გამოცდილების, იმ მნიშვნელოვან თაოსნობათა და ინიციატივათა შესწავლა და ყველგან გავრცელება, რომელთა მიზანია ეკონომიკური განვითარების ინტენსიური ფაქტორების, არსებული რეზერვების უფრო სრული გამოყენება, ყველა სახეობის რესურსების დაზოგვა, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი საბოლოო შედეგების მიღწევა. ამ მიზნით უფრო სრულად გამოიყენონ პრესა, რადიო, ტელევიზია და მასობრივი პროპაგანდისა და ინფორმაციის სხვა საშუალებანი.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სსრ კავშირის იუბილეს დღესასწაულობა სოციალისტური ერების აყვავების, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის მონოლითური ერთიანობის, ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულების, სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ლენინური გზით კომუნიზმისაკენ ქვეყნის წარმატებული წინსვლისათვის ლენინური კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო საბჭოთა ადამიანების მტკიცე შეკავშირების ნათელი დემონსტრაცია გახდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებენ მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა მშრომელს ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება 1983 წლის გეგმებისა და ვალდებულებების და მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, გამოიჩინონ მეტი ინიციატივა და შემოქმედება, თავდადება და სიმტკიცე, შეგნებული დისციპლინა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოებული კოლექტივების ნუსხა ქვეყნდება დარგობრივ, რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო გაზეთებში.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თავის სხდომაზე განიხილა საკითხი მშრომელთა წერილების შესახებ, რომლებიც ამ ბოლო დროს მიიღეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ მშრომელთა წერილებში გამოთქმულია ფართო მასების მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთსულოვანი მხარდაჭერა, მათი ღრმა დაინტერესება ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებით, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დამკვიდრებით.

წერილები მოწმობს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, საბჭოთა ადამიანების მჭიდრო შეკავშირებას კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მათს გადაწყვეტილებას — მთელი ძალ-ღონე მოახმარონ ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ამოცანების განხორციელებას, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით არის განსაზღვრული.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შემოსული წერილები გამოხატავს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა პატრიოტულ აღმავლობას, რომლებიც დადგნენ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, მოწმობს მათს დაინტერესებას წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი.

მშრომლები იჩენენ სახალხო სამეურნეო პრობლემების ღრმა გაგებას, მისწრაფებას — უფრო სრულად გამოიყენონ ჩვენი ეკონომიკის შესაძლებლობანი და არსებული რეზერვები. ბევრ წერილში გამოთქმულია კმაყოფილება სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის დასახულ ღონისძიებათა გამო.

წერილების ავტორები გამოთქვამენ წინადადებებსა და შენიშვნებს, რომელთა მიზანია გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლა, ჩავუნერგოთ ყოველ მოქალაქეს საზოგადოებრივი დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულება. სამართლიანად აყენებენ საკითხებს, რომ საჭიროა მკაცრად დავიცვათ სახელმწიფო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების შესახებ პარტიისა და მთავრობის მოთხოვნები, აქტიურად გამოვიყენოთ საკანონმდებლო და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი ამ მოთხოვნების დამრღვევთა მიმართ.

ბევრ წერილში მოყვანილია ფაქტები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ბევრგან ჯერ კიდევ არ წარმოებს სათანადო ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვისაც ბრალი მიუძღვის უყაირათობის, თვალის ახვევის, წამატების, მატერიალური რესურსების უთავბოლო ხარჯვის, მფლანგველობის დაშვებაში. შემოდის აგრეთვე სიგნალები, რომ აუცილებელია გაძლიერდეს ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა, სოციალისტური საკუთრების დატაცებათა წინააღმდეგ.

წერილებში გამოთქმულია კრიტიკა, შენიშვნები მთელი რიგი ადგილობრივი საბჭოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც პასუხს აგებენ საბინაო ფონდის მოვლა-შენახვისათვის, მოყვანილია მაგალითები, რომლებიც, კერძოდ, მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ ყველგან არ არის უზრუნველყოფილი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ბინის კანონმდებლობის სწორი გამოყენება.

ბევრ წერილს გასდევს ის აზრი, რომ საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს იმ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისა და კონტროლის ორგანიზაცია, რომლებსაც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები იღებენ მშრომელთა ყოფა-ცხოვრების, მომარაგების, ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების საკითხებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ ეს წერილები მოწმობს მშრომელთა პოლიტიკურ აქტიურობას, მათს უშუალო მონაწილეობას სოციალისტური მეურნეობის მართვის ფორმების სრულყოფაში. წერილები მშრომელთა განაწესია პარტიული და საბჭოთა ორგანოებისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა უზრუნველყონ, რომ უცილობლად სრულდებოდეს წინათ მიღებული გადაწყვეტილებანი მშრომელთა წერილებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის შესახებ, განახორციელონ სათანადო დამატებითი ღონისძიებანი, რათა ყურადღებით იქნეს განხილული და გადაწყდეს წერილებში აღძრული საკითხები, აღმოიფხვრას პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი, რომლებიც საბჭოთა მოქალაქეების სამართლიან საყვედურსა და ჩივილს იწვევს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იღვაწონ საჩივრის გამომწვევი მიზეზების ყოველმხრივი და ობიექტური განხილვისათვის, მისცენ პრინციპული შეფასება ამ საქმეში ბრალეულ პირთ.

სსრ კავშირის პროკურატურისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყურადღება მიაპყრო იმას, რომ უნდა განახორციელონ ღონისძიებანი ქალაქებსა და სოფლის დასახლებულ პუნქტებში მართლწესრიგის დასაცავად. ამასთან გაითვალისწინონ, რომ აღნიშნული საკითხები განსაკუთრებით მწვავედ არის აღძრული მშრომელთა წერილებში და საგონებელში აგდებს მათ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ დემოკრატიის ლენინური პრინციპების შემდგომი განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა წერილებისადმი და წინადადებებისადმი პასუხისმგებლურ, ჭეშმარიტად პარტიულ დამოკიდებულებას. თითოეული პარტიული, საბჭოთა მუშაკი, საწარმო-დაწესებულებათა ყოველი ხელმძღვანელი მოვალენი არიან მიიჩნიონ ეს მუშაობა თავიანთ მოვალეობად ხალხის წინაშე, პარტიის წინაშე.

ᲛᲫᲚᲔ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲫᲛᲣᲠᲘ



ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ა. თ. ვატჩენკო,
უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოქტომბრის შემდეგ ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლად შევიდა 1922 წლის დეკემბერი. ამ თარიღმა დასაბამი მისცეს მსოფლიოს პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს, ჭეშმარიტი სახალხო ხელისუფლების ქვეყნის მატიანეს.

უკრაინის სს რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებით ეგებებიან სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს, კანონიერი სიამაყის გრძნობით ავლებენ თვალს განვლილ გზას და ნათლად აქვთ შეგნებული, რომ მთელი ეს გამარჯვებები მოპოვებულია ქვეყნის მოძმე ხალხთა ურღვევი ერთიანი მოქმედების მეოხებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით. ისინი სამართლიანად ამბობენ, რომ უკრაინის მუშათა კლასი და ულატაკესი გლეხობა რუსეთის პროლეტარიატთან ერთად აღდგა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის დასამხობად, მშვიდობის, პურისა და მიწის, მშობლიური საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

გამოაცხადებს რა უკრაინაში მუშურ-გლეხური ხელისუფლება და უკრაინის საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა, რევოლუციური მასებმა ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით მხურვალედ დაუჭირეს მხარი ლენინურ იდეას სსრ კავშირის შექმნის შესახებ, რომელიც, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეფუძნებოდა „ურმეს ნდობას, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებას, სრულიად ნებაყოფლობით თანხმობას".

ასეთი ერთიანობისადმი მისწრაფება იშვა ყველა ეროვნების უფართოესი ხალხთა მასების სიღრმეში. ეს, კერძოდ, მკაფიოდ გამოხატა ჩერნიგოველმა ბოგანო გლეხმა გაბრიელ ოდინეცმა, როცა საბჭოების I სრულიად საკავშირო ყრილობაზე, რომელმაც 1922 წლის 30 დეკემბერს მიიღო დეკლარაცია სსრ კავშირის შექმნის შესახებ, განაცხადა:

— ჩვენი კავშირი მიგვაჩნია ერთადერთ იმედად, რომ ახლა ველარავინ დაგვაშორებს.

მართლაც, ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში შეკავშირებულ ხალხთა მონოლითური ერთიანობის წინააღმდეგ ამაოდ დაშვრა შინაგანი და გარეშე კონტრრევოლუცია. ეს ერთიანობა

ნგრევის და შიმშილის დაძლევის, სოციალიზმის საფუძვლების აშენების, საბჭოთა წყობილების მონაპოვართა დაცვის, თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალური პროგრესის უზრუნველყოფის გადამწყვეტი ფაქტორი გახდა.

გავიხსენოთ პირველი ხუთწლედების გმირული წლები, როცა საბჭოთა ადამიანების გაერთიანებული გარჯით ხორციელდებოდა სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმა — მიმდინარეობდა ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია. მაგალითად, 20 ეროვნების წარმომადგენლები აშენებდნენ ხარკოვის სატრაქტორო ქარხანას, ქვეყნის ასზე მეტი საწარმო აწვდიდა მას მასალებსა და მოწყობილობას. საერთო გარჯის მეოხებით ქარხანა სულ 15 თვის მანძილზე აშენდა.

ხალხთა ძმური კავშირი ერთ-ერთი წყარო იყო ჰიტლერელ დამპყრობლებზე მოპოვებული ისტორიული გამარჯვებისა. იცავდნენ რა რუსეთის სფს რესპუბლიკის, ბალტიისპირეთის, უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის ქალაქებსა და სოფლებს, ყველა ეროვნების წარმომადგენლები — საბჭოთა არმიის მამაცი მეომრები, პარტიზანები და იატაკქვეშელები, ზურგის გმირი მშრომლები ყველაფრით უზრუნველყოფდნენ ფრონტს, არ ზოგავდნენ მტერს სოციალისტური სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლების ხელყოფას. ეს იყო საყოველთაო-სახალხო გმირობა, რომელიც ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა.

ყველასათვის არის ცნობილი უკრაინელ მეომართა გმირობა მოსკოვისა და ლენინგრადის დაცვისას, სტალინგრადისა და კურსკის ბრძოლებში, კავკასიის დაცვაში, ჩვენი რესპუბლიკის იმ ტერიტორიის განთავისუფლებაში, დროებით რომ ჰქონდა ოკუპირებული მტერს. მაგრამ მათი შვილები და შვილიშვილები არასოდეს დაივიწყებენ, რომ უკრაინის დასაცავად ახლა ვაჟკაცურად და გულადად იბრძოდნენ ყველა ეროვნების მეომრები, რომ 4 ათასამდე საბჭოთა კავშირის გმირს — რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, ქართველებს, სომხებს, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს — ეს წოდება მიენიჭათ უკრაინის მიწა-წყალზე გადახდილ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისათვის.

საბჭოთა ადამიანებმა ყველაზე სისხლისმღვრელ ომში უმაგალითო განსაცდელს გაუძლეს, კიდევ უფრო მეტად შეკავშირდნენ და ერთიან ოჯახად იწყეს შემოსეული მტრის მიერ დანგრეული ქალაქებისა და სოფლების, ქარხნების, ფაბრიკების, შახტებისა და ელექტროსადგურების, კოლმეურნეობების აღორძინება.

რესპუბლიკის დღევანდელი ეკონომიკა ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. ეს, ხატოვნად რომ ვთქვათ, 1953 წლის რვა უკრაინაა. მარტო ორი დღის მანძილზე მისი მრეწველობა უშვებს იმდენ პროდუქციას, რამდენსაც უშვებდა მთელი 1922 წლის მანძილზე. სამოცი წლის განმავლობაში ხუთჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია, დარგისა, რომელიც დღეს სოციალისტური ეკონომიკის მაღალგანვითარებულ სექტორს წარმოადგენს.

უკრაინა მთლიანი ნიჭიერების, დიდი მეცნიერების, მაღალგანვითარებული სოციალისტური კულტურის რესპუბლიკაა.

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო მიღწევები სასიკეთო ზემოქმედებას ახდენს უკრაინელი მწერლებისა და პოეტების, კინოს, თეატრის მოღვაწეთა, ფერმწერების, მუსიკის ოსტატთა, მხატვრული თვითშემოქმედების მონაწილეთა შემოქმედებაზე. მრავლისმთქმელია ასეთი ფაქტიც: ალბათ, მთელ დედამიწაზე არ მოიძებნება ბიბლიოთეკა, რომელიც დაიტევდა 20 ათასზე მეტი დასახელების წიგნს, სსრ კავშირის ხალხთა ენებიდან რომ ითარგმნა უკრაინულად და დაახლოებით 600 მილიონ ცალად გამოუშვეს რესპუბლიკის გამომცემლობებმა.

ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ყველაზე დიდი მონაპოვარია ახალი ადამიანი, ადამიანი — მშრომელი, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მტკიცე ინტერნაციონალისტი. იგი მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფება და გვიჩვენებს შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ნიმუშს, მაღალ შეგნებას, პოლიტიკურ მოწიფულობას. თავდადებული შრომით ადიდებენ ჩვენს რესპუბლიკას შემახტეები ი. ი. სტრელჩენკო და ი. ა. კოლესნიჩენკო, მეექსკავატორე ვ. კ. მილორენკო და ზეინკალი ი. ფ. გორბატკო, ა. ვ. გიტალოვი, და მესინდინე ი. ი. პიტრა, მეცნიერი ბ. ე. პატონი, მწერალი ა. ტ. გონჩარი და მრავალი, მრავალი სხვა.

სსრ კავშირში საბჭოთა უკრაინამ გამოიარა ბრძოლისა და აღმშენებლობის სახელოვანი გზა, რომელიც შესანიშნავი გამარჯვებებით აღინიშნა. ცხოვრება უცილობლად მოწმობს, რომ მოძმე რესპუბლიკების ერთიან მწყობრში ყოფნა ერთადერთი სწორი, უტყუარი გზაა. განამტკიცებს რა ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსს, რომელიც ჩვენი მეგობრობის მატერიალური საფუძველია, ყოველი რესპუბლიკა ამასთანავე აფართოებს თავისი საკუთარი აყვავებისა და შემდგომი პროგრესის შესაძლებლობებს. ეს შესაძლებლობანი, უდავოდ, კიდევ უფრო მეტად გაიზრდება ქვეყნის სასურსათო პროგრამის რეალიზაციის შედეგად.

ჩვენმა რესპუბლიკამ 80-იან წლებში მაღალი მიჯნები უნდა დაძლიოს: დასახულია, მარცვლეულის საშუალო წლიური მთლიანი მოსავალი გადიდეს სულ ცოტა 10-11 მილიონი ტონით და მიაღწიოს 53-54 მილიონ ტონას. შაქრის ჭარხლის წარმოება უნდა გაიზარდოს 60 მილიონ ტონამდე, ხორცისამ — გადაამეტოს 4,6 მილიონს, რძისამ — 24 მილიონ ტონას.

დღეს საბჭოთა ხალხების მთელ მშრომელ ოჯახს ამოძრავებს ერთი მისწრაფება — წარმატებით შეასრულოს ხორცი პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს და პრაქტიკულად განახორციელოს ის ამოცანები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა — ნოემბრის პლენუმმა დაგვისახა.

საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერა პოვა მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის პატრიოტულმა თაოსნობებმა და ინიციატივებმა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. უკრაინის სს რესპუბლიკაში 20 მილიონზე მეტი კაცი მოსკოველთა და ლენინგრადელთა მაგალითისამებრ დადგა ღირსსახსოვარი თარიღის აღსანიშნავ შრომით ვახტზე.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო იმ სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობა, რომელიც ერთმანეთთან გააჩაღეს უკრაინის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიის, შუა აზიის რესპუბლიკების ოლქებმა, ქალაქებმა, რაიონებმა, მშრომელთა კოლექტივებმა.

ასეთი თანამეგობრობა იმითაც არის ძვირფასი, რომ ხელს უწყობს პატრიოტული საწყისის განმტკიცებას თითოეული ადამიანისა და საზოგადოებისათვის უმთავრეს სფეროში — შრომის სფეროში. ამასთანავე იგი მოწმობს, რომ მეგობრობა, ძმობა, ურთიერთდახმარება, როგორც მთელი ქვეყნის, ისე რესპუბლიკის მშრომელთა ყოველდღიური ცხოვრების გამოხატულებაა.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპი, რომელიც სხვადასხვა ეროვნების მილიონობით საბჭოთა ადამიანის ქცევის ნორმა გახდა, ვლინდება ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ცხოვრების და საქმიანობის ყველა სფეროში. ამაში გვარწმუნებს, მაგალითად, შემდეგი მონაცემები: საბჭოთა კავშირის ლენინური კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის — უკრაინის კომპარტიის შემადგენლობაში არიან ქვეყნის ასზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები.

ეჭვი არ არის, რომ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ზეიმი ახალი ძალით ცხადყოფს საბჭოთა ადამიანების მონოლითურ ერთიანობას, მათს ურღვევ შეკავშირებას ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო, ხალხის მასების მზადყოფნას, მისწრაფებასა და უნარს — ხორცი შეასხან მის წინასწარმეტყველებებს.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით დაჯილდოვდა

1. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ:

2. Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ;	5. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ;
3. Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ;	6. ᲮᲝᲠᲝᲚᲬᲧᲣᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ.
4. ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ;	

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სრულიად საკავშირო საპატიო დაფაზე არიან შეტანილი შემდეგი კოლექტივები:

7. საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვი", ქ. თბილისი; 8. ქუთაისის პურეული პროდუქტების კომბინატი; 9. თბილისის რძის მრეწველობის საწარმოო გაერთიანება; 10. ქუთაისის პურკომბინატი; 11. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 სამშენებლო ტრესტი, ქ. გურჯაანი; 12. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 დიდბლოკიანი სახლთმშენებლობის სამშენებლო ტრესტი, ქ. თბილისი; 13. საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის" ორჯონიკიძის სახელობის შახტა, ქ. ტყიბული; 14. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ახმეტის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი; 15. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს № 10 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, ქ. ამბროლაური; 16. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და ბაღ-პარკების მეურნეობის საწარმოო სამმართველო; 17. სოფელ არაკის კოლმეურნეობა, ახალქალაქის რაიონი; 18. სოფელ ტყვიავის ლ. კეცხოველის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობა, გორის რაიონი; 19. ზუგდიდის სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ შემდეგი კოლექტივები:

20. სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პოტენციალის" ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა; 21. მარნეულის ეთერზეთოვანთა საბჭოთა მეურნეობა-ქარხანა; 22. გარდაბნის მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობა, გარდაბნის რაიონი; 23. ცხაკაიის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია; 24. სახელმწიფო საკავშირო „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი „კავკასელექტროჟსელმშენის" ტრესტი, ქ. თბილისი; 25. საქართველოს რესპუბლიკური კოოპკავშირის მარნეულის სავაჭრო-ექსპერიმენტული სასურსათო კომბინატი; 26. საქართველოს „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს უქსოვადი ფართოლულის ექსპერიმენტული ფაბრიკა, ქ. თბილისი; 27. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება „ვაჭრტრანსი"; 28. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს წყალტუბოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო სამმართველო; 29. სოფელ ზნაკვის კიკნაძის სახელობის კოლმეურნეობა, ვანის რაიონი; 30. სოფელ შამგონის ს. მ. კიროვის სახელობის კოლმეურნეობა, ზუგდიდის რაიონი; 31. სოფელ განახლების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, ხობისტურის რაიონი; 32. გორჯვრწმინდის მეღორეობის კომპლექსი, საგარეჯოს რაიონი; 33. თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკა, ბოლნისის რაიონი.

13-17 დეკემბერი:

საქართველოს სს რესპუბლიკის დღეები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

ესტაფეტა საბჭოთა საქართველომ მიიღო

საბჭოთა საქართველომ მიიღო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკათა საიუბილეო ესტაფეტა. როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრიდან მკითხველებმა უკვე იციან, 13-17 დეკემბერს იგი უპატაკებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქს — გმირ ქალაქ მოსკოვს, მთელ ქვეყანას თავის წარმატებებს მოძმე ხალხების ერთიან ოჯახში, იმას, თუ რა მიღწევებით ხვდება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს, ეკონომიკური და სოციალური განვითარების რა პერსპექტივები აქვს დასახული.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს სს რესპუბლიკის დღეებში მონაწილეობის მისაღებად ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში მიემგზავრება რესპუბლიკის დელეგაცია, რომელშიც შედიან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა მუშაკები.

მომავალი დღეების მნიშვნელობაზე, მათ პროგრამაზე, იმაზე, თუ რით მიემგზავრებიან ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები მოსკოვს, საქინფორმის კორესპონდენტთა თხოვნით გვესაუბრებიან:

ბ. ნ. ენუქიძე,

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ დელეგაციის ხელმძღვანელი:

— **საქართველოს** სს რესპუბლიკის დღეები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოსა და რუსეთის ხალხების, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა ხალხის მეგობრობისა და ძმობის მატიანის კიდევ ერთი ნათელი ფურცელი გახდება. დღეები, რომელიც ეწყობა საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად, გეორგიევსკის ტრაქტატის — რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობისა და ძმობის პირველი მანიფესტის 200 წლისთავის წინ, უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. ქვეყნის მთავარ გამოფენაზე ჩვენი რესპუბლიკის მიღწევათა მომავალ დათვალიერებას განსაკუთრებულ აზრს, განსაკუთრებულ შინაარსს ანიჭებს ის გარემოება, რომ იგი ეწყობა დღეებში, როცა საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მჭიდროდ ირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ყოველმხრივ ამრავლებენ თავიანთ მეცადინეობას, რათა უზრუნველყონ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ წინასწარმდასახულობათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მიერ წარმოთქმული სიტყვის დებულებებისა და დასკვნების უთუო შესრულება.

კიდევ უფრო აამაღლონ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი მოძმე რესპუბლიკათა ერთსულოვან ოჯახში — ასეთია ოთხგზის ორდენოსანი საქართველოს სს რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის მტკიცე გადაწყვეტილება. იმას, რომ ეს გადაწყვეტილება მტკიცე საფუძველს ემყარება, თვალნათლივ ადასტურებს უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ცხრა გარდამავალი წითელი დროშა, ლენინის ორდენი საქართველოს დედაქალაქის დროშაზე, რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის მაღალი შეფასება, რომელიც მოცემულია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

ყოველივე ამას — იმასაც რაც უკვე გაკეთებულია, და იმასაც, რაც გასაკეთებელია — ვუპატაკებთ მოსკოვსა და მოსკოველებს, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქს — მეგობრობისა და ხალხთა ძმობის ქალაქს, პატრიოტ ქალაქს, ინტერნაციონალისტ ქალაქს, ქვეყნად მშვიდობისა და სოციალიზმის ფორპოსტს.

საინტერესო და შინაარსიანი იქნება საქართველოს სს რესპუბლიკის დღეები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. საიუბილეო გამოფენა „ერთიან ოჯახში“, მეცნიერთა, სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა გამოსვლები, თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტები შექმნის სავსებით სრულ წარმოდგენას ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელობაზე, აღმშენებლობის იმ სახელოვან გზაზე, რომელიც საქართველომ განვლო გასული სამოცი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებთან მჭიდრო ძმური კავშირით. შეხვედრები მოსკოვის სამრეწველო საწარმოებისა და სამეცნიერო ცენტრების კოლექტივებში, გამოცდილების გაზიარება და ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები, დედაქალაქის მუზეუმების დათვალიერება, თეატრალურ წარმოდგენებსა და კონცერტებზე დასწრება — ასეთია დღეების პროგრამაში შემავალ ღონისძიებათა არასრული ნუსხა.

გაიმართება შეხვედრები პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტსა და მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საბჭოში, ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები ეწვევიან თავიანთ ძველ მეგობრებს — ძერჟინსკისა და ბაბუშკინის რაიონების მშრომელებს, ესტუმრებიან მოსკოველ პოეტებსა და მწერლებს ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში, კოსმონავტებს — ვარსკვლავეთთა ქალაქში. ქართველი ხალხის, რესპუბლიკაში მცხოვრებ ერთა და ეროვნებათა სულიერ სამყაროს მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმრებს გადაუშლიან თბილისის, გუდაუთის, ქობულეთის, ცხინვალისა და საქართველოს სხვა რაიონების საუკეთესო თვითმოქმედი ფოლკლორული და ცეკვის ანსამბლები. დღეების პროგრამაშია აგრეთვე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების ჩვენება დედაქალაქის კინოთეატრებში „თბილისში“, „არქტიკაში“, „პაიკალში“, „მეტროპოლში“ და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. აქვე, ქვეყნის მთავარ გამოფენაზე, რესტორან „იუბილეინიში“ მსურველები გასინჯავენ საუკეთესო ქართულ ეროვნულ კერძებს, ერთ-ერთ მის პავილიონში კი გაეცნობიან ქართველ მემოდელეთა მიერ მომზადებულ ახალ ტანსაცმლის კოლექციას.

ერთი სიტყვით, მოსკოვს ვუჩვენებთ ყველაფერს, რითაც მდიდარია ჩვენი რესპუბლიკა, ვაჩვენებთ, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია მან თავის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების შედეგად. ჩვენ ვუამბობთ ჩვენს ძმებსა და მეგობრებს იმასაც, თუ რა დიადი პერსპექტივები აქვს დასახული საბჭოთა საქართველოს — თანასწორს თანასწორთა შორის მოკავშირე რესპუბლიკათა ოჯახში — ახლო მომავლისათვის.

ი. ვ. აბაშიძე,

პოეტი-აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი:

— **მოსკოვთან** შეხვედრა ყოველთვის დღესასწაულია. ჩემი ცხოვრების ყველაზე ნათელი, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები დაკავშირებულია სიბრძნის, სინათლის, სიკეთის, სიყვარულის ამ ქალაქთან. და ბედნიერი ვარ, რომ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელს შესაძლებლობა მომეცა კვლავ ჩავსულიყავი მოსკოვში, შევხვედროდი გულღია და მუდამ სტუმართმოყვარე მოსკოველებს, მეგობრებსა და თანამოკალმეებს.

სახელოვანი იუბილეს წინ ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გასახსენებელი, სალაპარაკო და ერთმანეთისათვის გასაზიარებელი. სწორედ მოსკოვში ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ეროვნული კულტურების შემოქმედებითი თანამშრომლობას, მათ მეგობრობას, იდეურ-მხატვრულ ერთიანობას. სწორედ მასთან, ყოველი ჩვენგანისათვის მშობლიურ დიდედაქალაქთან არის დაკავშირებული საბჭოთა ლიტერატურის განვითარება, საკავშირო და მსოფლიო ასპარეზზე ქართული ლიტერატურის, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ლიტერატურის გამოსვლა. სწორედ მას, მოსკოვს, ვუდარებთ ჩვენს დღევანდელ და ხვალინდელ დღეს.

ა. ი. დათაშვილი,

ლენინის ორდენოსანი „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს მემონტაჟე ზეინკალთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი:

— **მოსკოვთან** შეხვედრას მე და ჩემი ამხანაგები მივიჩნევთ თბილისის მიწისქვეშა ტრასების შემქმნელთა მიერ გაწეული მუშაობის, წარმატებათა შესახებ პასუხსაგებ ანგარიშად.

ჩვენი წარმატებანი ცხადია: სამმართველოს ბევრი კოლექტივი შრომითი გრაფიკის გასწრებით მუშაობს, მაგრამ თვითდამშვიდებას არ ვიძლევით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა ქვეყნის მშრომელებს დაუსახა ერთობ მნიშვნელოვანი ამოცანა — ყველა საშუალება, ყველა რეზერვი მოახმარონ წლიურ დავალებათა წარმატებით შესრულებას. ჩვენ მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების დიდი შესაძლებლობანი გვაქვს და ვიყენებთ კიდეც მათ. მაგრამ ისეთი რეზერვი, როგორიც არის მეგობრობის მოწინავე გამოცდილების გამოყენება, პრაქტიკულად ამოუწურავი შესაძლებლობაა. საქართველოს სს რესპუბლიკის დღეები ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოწინავე გამოცდილების სკოლა გახდება. დარწმუნებული ვარ, რომ მე, მეტრომშენებელი, ბევრ სასარგებლო რამეს ვისწავლი ჩემი მოსკოველი კოლეგებისაგან.

ო. თ. მიქაძე,

გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მექანიზატორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი:

— **განსაკუთრებული** გრძნობით მივემგზავრები, რათა მონაწილეობა მივიღო საქართველოს დღეებში ქვეყნის მთავარ გამოფენაზე. მე მომანდეს წარმოვადგინო იქ რესპუბლიკის მეჩაიეთა მრავალათასიანი რაზმი, რომლებმაც წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ჩინებული მოსავალი მოკრიფეს. 537 ათასი ტონა ჩაი — ასეთია ჩემი კოლეგების პატაკი მოსკოვისადმი, სამშობლოსადმი.

მოსკოვთან შეხვედრა ყოველთვის სასიხარულო, მნიშვნელოვანი მოვლენაა. ახლანდელი შეხვედრის ზეიმურობას კიდევ უფრო აძლიერებს საბჭოეთის მომავალი იუბილე, ის კარგი გუნება-განწყობილება, რომელიც ახლა რესპუბლიკის შრომით კოლექტივებში სუფევს. გვესმის, რომ ჩვენი დღევანდელი წარმატებანი მთელი საბჭოთა ხალხის შრომით არის გამოჭედილი. სწორედ ყოველივე ეს გვინდა გავაცნოთ მოსკოველებს, ყოველივე ეს ვუამბოთ ჩვენი საქმეების შედეგების, ჩვენი მნიშვნელოვანი გეგმების ენით.

ნ. ა. პეტრიაშვილი,

ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველე, სოციალისტური შრომის გმირი:

— **ქვეყნის** მთავარ გამოფენას შემთხვევით როდი უწოდებენ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას. მასში მონაწილეობა დიდი პასუხისმგებლობა და საპატიო უფლებაა. ჩვენმა მეურნეობამ დაიმსახურა ეს უფლება. ძნელია მეცხოველეობის გაძღოლა მთის რაიონში, მაგრამ საქმისადმი შემოქმედებითმა მიდგომამ, არსებულ შესაძლებლობათა აქტიურმა გამოყენებამ განაპირობა კოლექტივის სტაბილური მუშაობა. ჩვენში წლითიწლობით ვზრდება მეცხოველეობის პროდუქტის გამოშვება, მცირდება მისი თვითღირებულება, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ჩემი თანასოფლელების წვლილი სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

მაგრამ არც ერთი წარმატება სტაბილური არ იქნება, თუ მუშაობას საუკეთესოთა გამოცდილებას არ შევუდარებთ. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს დღეებში მონაწილეობას უწინარეს ყოვლისა მივიჩნევთ იმის შესაძლებლობად, რომ გავეცნოთ საქმის ორგანიზაციის ახალ მეთოდებს, გადავიღოთ ყოველივე საუკეთესო და მნიშვნელოვანი, რაც შეიძინეს მოძმე რესპუბლიკების მეცხოველეებმა.

„ნათელი თარიღი ათბობს მოსკოვურ ზამთარს“

• **მოსკოვში** საქართველოს დღეებთან დაკავშირებით რუსულ ენაზე გამოიცა ერთდროული გაზეთი **„სოვეტსკაია გრუზია“** — გაზეთების „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ სპეციალური გამოშვება და ერთდროული ჟურნალი-ბუკლეტი **„დნი გრუზიი ვ მოსკვე“**, რომელიც საბჭოთა საქართველოს და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა. ჟურნალი შეიცავს „ზარია ვოსტოკასა“ და საქინფორმის კორესპონდენტთა კოლექტიურ რეპორტაჟს.

„შრომითი საქართველო ანგარიშს აბარებს ძვირფას მოსკოველებს იმის შესახებ, თუ რას მიაღწია სსრ კავშირის არსებობის 60 წლის მანძილზე, — ვკითხულობთ გაზეთ „სოვეტსკაია გრუზიას“ მოწინავე წერილში, ეს ნათელი თარიღი ათბობს მოსკოვურ ზამთარს მეგობრობისა და ძმობის უხვი სითბოთი“.

შესანიშნავად გაფორმებულ ერთდროულ გაზეთსა და ჟურნალში მოთხრობილია იმ დიდ პოლიტიკურ და შრომით აღმავლობაზე, ჩვენს ხალხში რომ გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ.

გაზეთი დაბეჭდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ, ჟურნალი-ბუკლეტი — გამომცემლობა — „ხელოვნებამ“.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა მზად არის შეხვედრისათვის

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ექსპოზიციაში თავიანთი ადგილები დაიკავეს უკანასკნელმა ექსპონატებმა, რომლებშიც ასახულია საბჭოთა საქართველოს დღევანდელობა. მთავარი გამოფენის უდიდეს პავილიონში, 16 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე ფართოდ არის წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და კულტურა.

— ჩვენ, პავილიონის მუშაკებმა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს მისმა დირექტორმა ვადიმ როჟდესტვენსკიმ, — ყოველი ღონე ვიხმარეთ, რათა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ექსპოზიცია ეფექტურად გამოიყურებოდეს. თქვენი რესპუბლიკის დღეები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მის საიუბილეო ექსპოზიციას ყოველდღიურად უკვე ორი ათასამდე მნახველი ათვალიერებს.

ექსპოზიციის დასაწყისში დადგმულ დიდ პოლიეკრანზე უჩვენებენ რესპუბლიკის მშრომელთა დღევანდელი წარმატებების ამსახველ სლაიდ-ფილმებს. აქ ასობით ექსპონატია. ეს არის ვლ-11 ელმავლისა და ფრთიანი „კოლხეთის“ მოდელები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომატარებლები და ხელმარჯვე ოსტატთა ნაწარმი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სტენდი „ქვეყანა — საქართველოს, საქართველო — ქვეყანას“, რომელიც თვალნათლივ ასახავს საბჭოთა საქართველოს ადგილს ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში.

— დიდია ინტერესი ჩვენი რესპუბლიკისადმი, ამას ცხადყოფს მრავალი შეკითხვა, რომლებსაც გვაძლევენ დამთვალიერებლები,— თქვა გამოფენის მეთოდისტმა ნინო ედილაშვილმა. — მთელ ჩვენს ბრიგადას, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენიდან, არც ერთი წუთით არა აქვს მოსვენება. მაგრამ ეს სულაც არ გვაწუხებს, პირიქით, გვეამაყება ჩვენი სამშობლოსადმი, ჩვენი ხალხისადმი ასეთი ინტერესი.

— თქვენი შესანიშნავი რესპუბლიკა სწრაფად ვითარდება, და ეს განვითარება ორგანულად არის შეხამებული ტრადიციებისადმი უაღრესად სათუთ დამოკიდებულებასთან, — თქვა ცნობილმა საბჭოთა პოეტმა მიხეილ დუდინმა, რომელსაც გამოფენაზე შევხვდით. — ძალიან მიხარია, რომ კიდევ ერთხელ, თუნდაც დაუსწრებლად, შევხვდი საქართველოს, სადაც ბევრი მეგობარი მყავს.

— დიდად მახარებს მზიანი საქართველოს მშრომელების, განსაკუთრებით კი ფოთელების წარმატებანი, რომლებთანაც შრომითი მეტოქეობა გვაკავშირებს, — თქვა ლიეპაიადან ჩამოსულმა ტრაულერის კაპიტანმა ედუარდ სტუტმანისმა. — კარგი საჩუქარი მივიღეთ ჩვენ, მებადურებმა, ფოთის გემთმშენებლებისაგან, რომლებმაც დაიწყეს ჩვენთვის ძალზე საჭირო მოტობოტის „ჩაიკის“ გამოშვება. სხვათა შორის, ეს მხოლოდ აქ შევიტყვე, როცა ექსპოზიციას გავეცანი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა ელის შეხვედრას საქართველოსთან, მის საუკეთესო ადამიანებთან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

მწერალ ს. ე. ჭილაიას ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მწერალი სერგო ესტატეს ძე ჭილაია დაჯილდოვდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ. კუზნეცოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. მენთეშაშვილი.**

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 9 დეკემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

მწერალ მ. ს. ლებანიძის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში გაწეული ღვაწლისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს მწერალი მურმან სილოვანის ძე ლებანიძე ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ. კუზნეცოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. მენთეშაშვილი.**

მოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 10 დეკემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივებისათვის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელის მიკუთვნების შესახებ

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით მიეკუთვნოს საქართველოს სსრ შემდეგი საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომით კოლექტივებს სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელი:

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს თბილისის კერამიკული კომბინატის შრომით კოლექტივს;

საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს — „საქმთავარენერგოს“ ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის შრომით კოლექტივს;

სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა სამინისტროს ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის შრომით კოლექტივს;

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლის ფაბრიკის შრომით კოლექტივს;

სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელის“ შრომით კოლექტივს;

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდაბნის რაიონის ჯანდარის სასუქებელი საბჭოთა მეურნეობის შრომით კოლექტივს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 10 დეკემბერი.

პარტიის თიანეთის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ი. ა. მერლანი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

პარტიის თიანეთის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. შ. ლ. ქისტაური და გაათავისუფლა იგი პარტიის რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობისაგან.

პარტიის თიანეთის რაიკომის მეორე მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. ი. ა. ჯამაგიძე, რომელიც „საქსასოფლტექნიკის“ თიანეთის რაიონული განყოფილების მმართველად მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა.

(საქინფორმი).

დღევანდელი ზურბზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

10 დეკემბერი

არაბი ხალხების მეგობარი

სანა. საბჭოთა კავშირთან — პალესტინის არაბი ხალხისა და სხვა არაბი ხალხების ერთგულ მეგობართან თანამშრომლობის და მეგობრობის ურთიერთობის განვითარება კანონიერი უფლებებისათვის პალესტინელთა ბრძოლის წარმატებული განგრძობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, განაცხადა პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტის გენერალურმა მდივანმა ნაიეფ ჰავატმემ აქ გამართულ პრესკონფერენციაზე.

საბჭოთა კავშირი პირველი სახელმწიფო იყო არაბული სამყაროს ფარგლებს გარეთ, რომელმაც მხარი დაუჭირა პალესტინელი ხალხის კანონიერ ეროვნულ უფლებებსა და გაუწია პალესტინელებს ყოველმხრივი დახმარება, თქვა მან.

პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტის გენერალურმა მდივანმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის მტკიცე და პრინციპულ პოზიციას ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მიმართ.

ნ. ჰავატმემ მკაცრად დაგმო ახლო აღმოსავლეთის შესახებ ეგრეთ წოდებული „რეიგანის გეგმა“. ეს პროექტი, თქვა მან, აბსოლუტურად მიუღებელია როგორც პალესტინელი, ისე სხვა არაბი ხალხებისათვის.

ვარშავა. აქ გაიხსნა სამეცნიერო სესია „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და პოლონეთი 1922-1982“, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

სესიის მონაწილეები განიხილავენ საბჭოეთის შექმნის იუბილესთან დაკავშირებულ მეცნიერულ ნაშრომებს, აგრეთვე პოლონელ მეცნიერთა გამოკვლევებს, რომლებიც მიეძღვნა 20-80-იანი წლების პერიოდში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის ისტორიას.

პანამა. საქდესის კორესპონდენტი ნ. ურტმინცევი იტყობინება: მსოფლიოში პირველი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა ისტორიული ნიშანსვეტია კაცობრიობის განვითარებაში, განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში პანამის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა რუბენ დარიო სოუსამ. აი რატომ არის, რომ დედამიწის მთელი პროგრესული ძალები, ყველა კეთილი ნების ადამიანი ემზადებიან აღნიშნონ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავი, როგორც თავიანთი დიდი დღესასწაული.

საბჭოთა კავშირი, რომელსაც უდიდესი მიმზიდველი ძალა აქვს, სამაგალითოა თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი ყველა ხალხისათვის.

კაირო. საქდესის კორესპონდენტი ვ. ალექსანდროვი იუწყება: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავი დიდი დღესასწაულია არა მარტო საბჭოთა ქვეყნის ხალხებისათვის, არამედ მშვიდობის, თავისუფლების, პროგრესისა და დემოკრატიის მთელი ძალებისათვის, ეს არის ნამდვილად მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა, განაცხადა აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ნური აბდელ რაზაკმა. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე, თქვა მან საქდესის კორესპონდენტთან საუბარში, საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ასპარეზზე ახორციელებს თანამიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ კურსს, ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს მშვიდობის განმტკიცების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და გამალებული შეიარაღების ალაგმვის საქმეში.

პრაღა. საქდესის კორესპონდენტი ლ. ლატიშევი იტყობინება: სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად კლემენტ გოტვალდის მუზეუმში გამართული გამოფენა უკვე დაათვალიერა დაახლოებით 50 ათასმა კაცმა. აქ მოდიან პრაღის საწარმოების შრომითი კოლექტივები, უმაღლესი სასწავლებლების და საშუალო სკოლების მოსწავლეები, სამხედრო მოსამსახურეები.

ექსპონატები ასახავენ სსრ კავშირის ხალხთა მიღწევებს კომუნიზმის მშენებლობაში, საბჭოთა ადამიანების გმირობას დიდ სამამულო ომში.

ჰავანა. დიდი ოქტომბრის გამარჯვების მომენტიდან საბჭოეთი გადაჭრით უარყოფს ომებისა და კოლონიური ძარცვის პოლიტიკას, მტკიცედ იცავს მშვიდობას, საერთაშორისო თანამშრომლობისა და დაძაბულობის შენელების საქმეს, წერს ჟურნალი „მილიტანტე კომუნისტა“ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მიძღვნილ სტატიაში.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, აღნიშნავს კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ორგანო, სოციალისტური თანამეგობრობის საიმედო ფარია, უზრუნველყოფს ისტორიის შეუნელებელ განვითარებას. საბჭოთა კავშირის სოლიდარობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დეკოლონიზაციისა და ხალხთა განთავისუფლების პროცესი.

ახლანდელ ერთობ სახიფათო და რთულ საერთაშორისო ვითარებაში, წერს ჟურნალი, სსრ კავშირი სახავს ახალ კონსტრუქციულ წინადადებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის საქმის განმტკიცება. ამ წინადადებებს მხარს უჭერს მთელი პროგრესული კაცობრიობა, რომელიც ისწრაფვის შეინარჩუნოს სიცოცხლე პლანეტაზე, აღნიშნავს „მილიტანტე კომუნისტა“.

სახელოვანი იუბილეს შესახვედრად



ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ახალი საშიში ნაბიჯი გადადგა გამალებული სტრატეგიული შეიარაღების გაძლიერების, ბირთვული ომის მომზადების გზაზე. პრეზიდენტმა რ. რეიგანმა აცნობა კონგრესს, რომ მიიღო გადაწყვეტილება 100 ახალი „MX“ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის განლაგების შესახებ, რომლებიც პენტაგონს პირველი დარტყმის იარაღად მიაჩნია. ახალი სარაკეტო სისტემა, რომლის ღირებულება ოფიციალური, აშკარად შემცირებული მონაცემებით 26 მილიარდ დოლარს შეადგენს, მწყობრში უნდა ჩადგეს 1986 წლის დამლევისათვის.

სურათზე: უილმინგტონის ქარხანაში (მასაჩუსეტსის შტატი) აწყობენ „MX“ რაკეტას.

აპ-საქდესის ტელეფოტო.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

● **სოფია.** სოფიის ელექტროავტოკარების ინსტიტუტის თანამშრომლებმა შექმნეს „რეკორდ-4“ სერიის პირველი უნივერსალური ავტოკარი. იგი იმუშავებს 104 ცხენის ძალის სიმძლავრის დიზელის ძრავათი. ახალი ავტოკარის ტვირთამწეობაა 12,5 ტონა და განკუთვნილია კონტეინერების დასამუშავებლად.

● **ბონი.** მიმდინარე წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებობა შეწყვიტა ათასზე მეტმა ლითონდამმუშავებელმა საწარმომ, რომლებმაც ვერ გაუძლეს მსხვილ მონოპოლისტურ გაერთიანებებთან კონკურენციას, განაცხადა კელნში ამ დარგის მრეწველთა გაერთიანების წარმომადგენელმა დიტერ კირჰნერმა. მან აღნიშნა, რომ ამავე პერიოდში სამუშაო დაკარგა 100 ათასმა მეტალისტმა.

● **ტოკიო.** „არ გვინდა გამალებული ბირთვული შეიარაღება!“, „არ დავუშვებთ ომს!“ — ამ ლოზუნგებით აქ გაიმართა იაპონიის დედების კონგრესის კავშირის კომიტეტის აქტივისტთა მიტინგი. 1500-ზე მეტმა მისმა მონაწილემ გულისწყრომით დაგმო ოფიციალური ტოკიოს კურსი, რომლის მიზანია დაჩქარებული მილიტარისტული მზადება, იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების“ განმტკიცება, რომელსაც სულ უფრო აგრესიული ხასიათი ეძლევა.

● **მონროვია.** ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება, მშვიდობის დაცვა სრულიად რეალური მიზანია, რომლის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ პლანეტის ყველა ადამიანის საერთო მეცადინეობით, განაცხადა აქ ცნობილმა ლიბერიელმა ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ დოქტორმა არეთ კასისმა, „ოქროს მერკურის“ მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის საერთაშორისო პრემიის ლაურეატმა.



მკაცრად გააკრიტიკეს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა

ნიუ-იორკი. შეერთებული შტატები მთავარი დამქაშია ისრაელი აგრესორებისა, რომლებიც არ წყვეტენ შეიარაღებულ ინტერვენციას ლიბანელ და პალესტინელ ხალხთა წინააღმდეგ. ასეთია ძირითადი შედეგი ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის გამო გამართული დისკუსიისა, რომელიც დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე და მიმდინარეობდა ამერიკის ადმინისტრაციის, როგორც ისრაელის სტრატეგიული მოკავშირის, მკაცრი კრიტიკის ნიშნით, როგორც კამათის დროს აღინიშნა, სწორედ ვაშინგტონმა მისცა ისრაელ აგრესორებს ხელში თანამედროვე იარაღი, რომლის დახმარებითაც თელ-ავივმა გააჩაღა ნამდვილი გენოციდი ლიბანელი და პალესტინელი ხალხების წინააღმდეგ.

მეტ წილ სახელმწიფოთა დელეგატებმა ხაზი გაუსვეს, რომ ვაშინგტონს, ისევე როგორც თელ-ავივს, აკისრია პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონი გადაიქცა საშიში დაძაბულობის კერად, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. შეერთებული შტატები ასრულებს ისრაელის მოკავშირის როლს, ნებას აძლევს რა მას ახორციელებდეს აგრესიისა და ექსპანსიის კურსს, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არაბული ქვეყნების ლიგის მუდმივმა მეთვალყურემ კლოვის მაქსუდმა. ამერიკის შეერთებული შტატების სენატი განიხილავს კანონპროექტს ისრაელისათვის ეკონომიკური და სამხედრო დახმარების 500 მილიონი დოლარით გადიდების შესახებ, რომელიც უკვე ახლა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ უცხოეთისათვის დახმარების პროგრამის თითქმის 28 პროცენტს შეადგენს.

საბრისა და შათილის პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებში მოხუცების, ქალებისა და ბავშვების მასობრივი ჟლეტა ლიბანში ისრაელის აგრესიისა და მისდამი ამერიკის ადმინისტრაციის სრული მხარდაჭერის შედეგია, განაცხადა აბდულ აზიზ ა. ბაიისამ (იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა). სიტყვით ვაშინგტონი, თითქოს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობას ესწრაფვის, საქმით კი თელ-ავივს აწვდის ყველაზე თანამედროვე იარაღს და აქეზებს ახალი დანაშაულებრივი აქციებისათვის.

კურსი, რომელიც შეერთებულმა შტატებმა აირჩია ახლო აღმოსავლეთში, ძირფესვიანად ეწინააღმდეგება არაბი ხალხების ინტერესებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებს. ასეთ პოლიტიკას არაფერი აქვს საერთო პატიოსნებისა და სამართლიანობის ცნებებთან, აღნიშნა მუჰამედ აბუ ალ-ჰასანმა (კუვეიტი).

ლიბანისა და პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ ისრაელის მიერ გაჩაღებულ დანაშაულებრივ ომში ვაშინგტონმა დაინახა ხელსაყრელი შანსი მიაღწიოს საკუთარი გლობალური ამბიციების შესაბამისად ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკის რადიკალურ შეცვლას, განაცხადა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ო. ს. ოვინიკოვმა. საბჭოთა კავშირი, თქვა მან, უცვლელად მოითხოვს ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის კარდინალურ და ყოვლისმომცველ მოწესრიგებას, რომელსაც საფუძვლად დაედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის ცნობილი გადაწყვეტილებანი. სწორედ ამას ისახავს მიზნად საბჭოთა კავშირის წინადადებანი ახლო აღმოსავლეთის თაობაზე.

დაიხურა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესია

პეკინი. 10 დეკემბერს აქ მუშაობა დაამთავრა სრულიად ჩინეთის მეხუთე მოწვევის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეხუთე სესიამ.

სესიამ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, მოიწონა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მონახაზები, აგრეთვე დაამტკიცა 1983 წლის სახელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი.

სესიის საბოლოო სხდომაზე მიიღეს მთელი რიგი კანონები და დადგენილებანი, კერძოდ, კანონი სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისა და სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებების არჩევნების შესახებ.

სინხუას სააგენტოს ცნობის თანახმად, სრულიად ჩინეთის მეექვსე მოწვევის სახალხო წარმომადგენელთა კრების ახალი შემადგენლობის არჩევნები გაიმართება 1983 წლის აპრილში.



Вітаю тебе, рідна Україна!

გესალმები, უკრაინავ ჩემო!

გული მისცეს გულისათვის...

საბჭოთა უკრაინა მეოცე საუკუნის 80-იანი წლების გარიჟრაჟზე...

როგორია იგი? როგორ ცხოვრობს, შრომობს, ისვენებს?

ძმურ საბჭოთა ოჯახში ყველა ხალხთან ერთად დიად დღესასწაულს — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს ამაყად ხვდება საბჭოთა უკრაინა. მის დროშას ამშვენებს ორი ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციის და ხალხთა მეგობრობის ორდენები. მისი დღევანდელობა და მზიანი მომავალი ნათლად არის გამოხატული სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში.

ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან კომუნისტების, საბჭოთა უკრაინის ყველა მშრომელის სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. შჩერბიცკიმ განაცხადა: „ჩვენ კვლავაც თვალისჩინივით გავუფრთხილდებით ურღვევ ძმობას, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ხალხის წმინდა ერთობას, რადგან ამ ერთობაში, პარტიის ნაცად ხელმძღვანელობაში, კომუნისტური იდეალების მტკიცე რწმენაშია ჩვენი უძლეველობა".

აკი ჩვენი სამოცწლიანი ისტორიის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი ხალხთა მეგობრობაა. მაგრამ იმ ორი ერის მეგობრობას, რომლებზეც დღეს კიდევ ერთხელ გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება, უფრო ღრმა და მძლავრი ფესვები აქვს, რამეთუ ქართველისა და უკრაინელის ბედი მტკიცედ და სამუდამოდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს.

უკვდავი ლესია უკრაინკას უკანასკნელი ამოსუნთქვა საქართველომ მიიღო. უკრაინის მიწაში სამუდამო სასუფეველი პოვა ჩვენმა ტანჯულმა დავით გურამიშვილმა. ასე გაცვალა ორმა ერმა ორი უსაყვარლესი და ერთგული შვილი და ამ ფაქტმა თითქმის სამუდამოდ შეადუღაბა ეს მეგობრობა.

და დღეს საქართველო უკრაინაში ყოველ ნაბიჯზე შეიგრძნობა.

შევცქერით კიევის სოფიის ტაძარს და ვფიქრობთ იმაზე, რომ მოზაიკით მის მოპირკეთებაში ქართველ ხელოსნებსაც მიუღიათ მონაწილეობა.

შევცქერით ივანე ფრანკოს სახელობის თეატრს და გვახსენდება, რომ მის სცენაზე 1919 წელს კიევის თეატრების კომისარმა კოტე მარჯანიშვილმა დადგა პირველი საბჭოთა სპექტაკლი — ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო".

და როდესაც მშვენიერი დნეპრის თანამედროვე მკვიდრად ნაგებულ ხიდზე გავიარეთ, ჩვენ ვფიქრობდით ხის ხიდზე, რომელიც კიევთან იმ სამახსოვრო, 1943 წლის შემოდგომაზე კაპიტან ირაკლი ციციშვილის ხელმძღვანელობით ააგეს. სწორედ ამ ხიდზე გაიარეს საბჭოთა ტანკებმა და მამაცმა მებრძოლებმა, რომლებმაც კიევი გაათავისუფლეს.

ხოლო როცა თეთრი ქრიზანთემები მივიტანეთ დიდების მემორიალთან, იქ, სადაც ქალაქის ბევრ დამცველთან ერთად დასაფლავებულია საბჭოთა კავშირის გმირი ნ. გოგიჩაიშვილი, ჩვენ ვფიქრობდით იმაზე, რომ იგი საბჭოთა უკრაინასთან ერთად, თავის მშობლიურ საქართველოსაც იცავდა.

1500 წლის კიევი

აგერ უკვე თხუთმეტი საუკუნეა დგას დნეპრის მაღალ ნაპირზე რუსეთის ქალაქების დედა — კიევი.

უძველესი მატიანე გვაუწყებს; „და იყო სამი ძმა. ერთს ერქვა კიი, მეორეს შჩეკი, მესამეს ხორივ და მათი და ლიბედი". და აშენდა ქალაქი უფროსი ძმის სასახელოდ და დაერქვა სახელი კიევი.

დღესაც არის ქალაქში შუათანა და უმცროსი ძმის სახელობის ქუჩები, ხოლო დის სახელს ატარებს კომფორტული სასტუმრო და პატარა მდინარე, რომელიც ახლა ქალაქის ქვეშ, ბეტონის კაპოტში მიედინება.

საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში გაიზარდა და განმტკიცდა გმირი ქალაქი კიევი. ახლა მისი მოსახლეობა 2,3 მილიონს აღემატება. იგი ევროპის ყველაზე მწვანე ქალაქია. მის ყოველ მცხოვრებზე 170 კვადრატული მეტრი მწვანე ნარგავები მოდის.

კიევის ყოველი მესამე მცხოვრები მისდევს სპორტს. მათ 21 სტადიონი, 25 საცურაო აუზი, 497 სპორტული დარბაზი, სპორტის სასახლე, ყინულის სტადიონი და სხვა სპორტული ნაგებობანი ემსახურება.

კიეველებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ დაიცვან, მომავალ თაობას შემოუნახონ წინაპართა გენიით შექმნილი წარსულის უნიკალური ძეგლები.

მშვენიერ კრეშჩატიკზე აღიმართა დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღისადმი მიძღვნილი დიადი მონუმენტი, რომლის ცენტრშია ვ. ი. ლენინის სკულპტურული გამოსახულება. მის პირდაპირ კი თეთრად ქათქათებს მარმარილოს სასახლის გრანდიოზული ნაგებობა — ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ფილიალის ახალი შენობა.

დნეპრს გადმოჰყურებს დედასამშობლოს დიადი ფიგურა უზარმაზარ თასში დიდების ცეცხლი გიზგიზებს.

დამთავრდა ხუროთმოძღვარ რასტრელის თვალსაჩინო ქმნილებების — ანდრიას ეკლესიისა და მარიამის სასახლის რესტავრაცია, ორღანი ახმიანდა აღორძინებულ გოთურ ტაძარში. კიევ-პეჩორის ლავრის ძველ ისტორიულ არქიტექტურულ კომპლექსში განახლდა მაღალი სამრეკლო, ახლებურად აელვარდა იაროსლავ ბრძენის მიერ მე-11 საუკუნეში აგებული სოფიის ტაძრის მოზაიკები და ფრესკები, მის მახლობლად აღმართულია ოქროს კარიბჭე.

ძველ თბილისს გვაგონებს ქალაქის ერთ-ერთი უძველესი რაიონის — პოდოლის უბნები. ანდრიას დაღმართზე ძველებური ფარნები ანათებს ქვით მოპირკეთებულ ქუჩებს.

პოდოლი ცნობილია რუსეთში პირველი უმაღლესი სასწავლებლით — კიევ-მოგილიანსკის აკადემიით.

დიდი რუდუნებით აღუდგენიათ პოდოლის წყნარი ქუჩებისა და მოედნების ძველებური სახე.

უკრაინელები ქართველებისადმი სიყვარულში საოცრად გულწრფელნი არიან. ამ სიყვარულის გამოხატულებად აღვიქვამდით დედაქალაქის ქუჩების სახელწოდებებსაც — რუსთაველის, ორჯონიკიძის, ციკვაძის, ქართველიშვილის, გრუზინსკაიას და კიდევ ბევრ სხვა ფაქტს. თუნდაც ის რად ღირს, რომ პეჩორის რაიონის პარტიის ვეტერანთა ინიციატივით საზოგადოებრივ საწყისებზე გაიხსნა ციკვაძის მუზეუმი, რომელსაც დიდი რუდუნებით უვლიან ვეტერანები.

გმირის ლამაზი სიცოცხლე

როდესაც ფაშისტი დამპყრობლები საბჭოთა კავშირს თავს დაესხნენ, უკრაინის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში. 20 მილიონი საბჭოთა ადამიანი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში. უკრაინაში თითქმის არ დარჩენილა ოჯახი მამა, შვილი, ან ძმა რომ არ დაეკარგოს.

ფაშისტებმა დაწვეს და დაანგრიეს 714 უკრაინული ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლება, 28 ათასი სოფელი, 16 ათასი სამრეწველო საწარმო, გაანადგურეს ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

მეგობრობის ძალამ ფერფლისაგან აღადგინა და ააყვავა უკრაინის სოფლები და ქალაქები.

...წყალში ლამაზად ირეკლება გადაყვითლებული დნეპრისპირეთი.

ნაპირზე ერთმანეთის მხარდამხარ დგანან ქათქათა ხომალდები, ახალი ცისფერი გზების მოლოდინში გაყურსულან და ტალღას აყოლილნი ოდნავ ირწევიან.

„შოთა გოგორიშვილი" — ვკითხულობთ ერთ-ერთ მათგანზე წარწერას.

სულ მალე კაპიტნის ჯიხურში ვართ. „შოთა გოგორიშვილი" კიევიდან კრემენჩუგში მიემგზავრება.

ვერც ერთი მგზავრი გვერდს ვერ აუვლის პატარა სტენდს, რომელიც ჩვენს თანამემამულეს — შოთა გოგორიშვილს აცნობს მკითხველებს.

იგი 1922 წელს დაიბადა თბილისში. 1941 წელს 19 წლის ახალგაზრდა, რომელმაც სამხედრო სკოლა დაამთავრა, ლეიტენანტის ჩინით ფრონტზე წავიდა.

მთელი უკრაინა ბრძოლით გაიარა, მთავრობის ჯილდოებს ზედიზედ იღებდა, ოთხჯერ დაიჭრა. მეოთხე ჭრილობა საბედისწერო აღმოჩნდა. ეს მოხდა პოლონეთის განთავისუფლების დროს.

1974 წლის 11 ნოემბერი მისი მეორედ დაბადების დღეა. ამ მნიშვნელოვან დღეს თბომავალ „მეტეორს" მიენიჭა შოთა გოგორიშვილის სახელი. და შორეული საქართველოდან კიევში გემის ეკიპაჟის სახელზე მოვიდა დედის ბარათი, რომელსაც კაპიტანი გვაწვდის და დანაღვლიანებული გვეუბნება: მისი კითხვისას მთელი ეკიპაჟი ტიროდაო.

ბარათში დედა დიდ მადლობას უხდიდა ყველას, ვინც მისი შვილის სახელი ასე უკვდავყო. თან დასძენდა, რომ არც მეორე ვაჟიშვილი — მიხეილი დაბრუნებულა ფრონტიდან, მამაც მათ დარდს გადაჰყვა და ახლა, მოხუცებულობის ჟამს, თითქოს ყველანი გაცოცხლდნენო.

„ჩემს შვილს ბევრი მეგობარი ჰყავდა სკოლაში, ეტყობა ფრონტზეც კეთილი კვალი დატოვა, რომ ამდენი წლის მერე მისი სახელი თბომავალს დაარქვეს. იყავით მამათა დიდების ღირსნი, ატარეთ ჩვენ ხალხებს შორის მეგობრობის სითბო.

დედათქვენი ეკატერინე გოგორიშვილი".

— დიახ, დედა იყო ჩვენი ქალბატონი ეკატერინეო, — გვეუბნება გემის უცვლელი კაპიტანი ლისენკო. ჩვენი ეკიპაჟის ყველა მიღწევა, ჯილდო, წარმატება უზიაროდათ იქ, საქართველოში. ეს ჩვენ ძალას გვმატებდა და ალბათ ამიტომაც ყოველთვის მოწინავეთა რიგებში ვართ.

შოთას ცხედარი კარგა ხანია თბილისში, კუკიის სასაფლაოზე გადაასვენეს. მის საფლავს ძეგლად ტანკი ადგას, აქ არასოდეს ქრება ყვავილები.

იქ კი, შორეულ უკრაინაში მეორედ დაბადებული შოთა გემის ეკიპაჟს შეერწყა და სამუდამოდ დაიდო ბინა.

ღირსეული მოქალაქე

უკრაინაში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთათვის უკრაინა მეორე სამშობლოდ ქცეულა. ასეთ ადამიანებზე საუბრისას კიევში უპირველესად ვლადიმერ ბაბუხადიას დაგისახელებენ — უკრაინის დამსახურებულ ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს. კიევის მთავარი მეან-გინეკოლოგი იყო ვ. ბაბუხადია წლების მანძილზე.

ამ რამდენიმე წლის წინათ მას პერსონალური პენსია დაენიშნა და თავის მშობლიურ კოლექტივს დაუბრუნდა — „პედიატრიისა და მეან-გინეკოლოგიის ინსტიტუტს", სადაც წლების წინათ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. ღვაწლმოსილი ექიმის მიერ გაკეთებულ რთულ ოპერაციებს არაერთი ქალისათვის მიუნიჭებია უზენაესი ბედნიერება — დედობის სიხარული. ამიტომაც ასე უყვართ კიევში ქართველი ექიმი, ამიტომაც თვლიან დედაქალაქის ერთ-ერთ ღირსეულ მოქალაქედ.

ეს შენი მედალია, ძმაო!

თენგიზ უზნაძემ და კონსტანტინე ტერნოვოიმ სანგარში შეჰფიცეს ერთმანეთს ძმობა და მას შემდეგ მათი გზები არც გაყრილა. თითქოს ბედი იყოო, ძმადნაფიცები ერთდროულად დაიჭრნენ და ჰოსპიტალშიც ერთმანეთის გვერდით იდგა მათი საწოლები.

შვილის სანახავად ჩამოსულ ზაქროს ექიმებმა ურჩიეს, თენგიზს საქართველოს ჰაერი მოუხდება და შინ წაიყვანე, უფრო მალე გამოჯანმრთელდებაო.

— მე კოსტიას გარეშე არსად არ წამოვალ, — მტკიცედ განაცხადა თენგიზმა.

— ეგეც წავიყვანოთ, შვილო.

აი, ასე მოხვდა კონსტანტინე ტერნოვოი საქართველოში.

ასე მიიღო უზნაძეების ოჯახმა მეორე ვაჟიშვილად შეიყვარა, მოუარა და გადაარჩინა. ის კი გადაარჩინა, მაგრამ საკუთარს ვერაფერი უშველა. თენგიზი დაიღუპა. დაიღუპა, მაგრამ ვაჟიშვილი არ დაუკარგავს უზნაძეებს. იმ დღიდან კონსტანტინე გადაიქცა მათ შვილად, მათ სისხლად და ხორცად.

კონსტანტინე ტერნოვოიმ, ექიმმა, მეცნიერმა, საზოგადო მოღვაწემ შეასრულა თავისი მეგობრის აუხდენელი სურვილი.

თენგიზს ექიმი უნდოდა ყოფილიყო და სწორედ ამიტომ დაამთავრა კონსტანტინემ სამედიცინო ინსტიტუტი.

ახლა იგი უკრაინის ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილე და წამყვანი ტრავმატოლოგია, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია.

საქმე ბევრია, მაგრამ არასოდეს ივიწყებს მშობლიურ საქართველოს, თენგიზის ნათესავებს. მისი ორივე ვაჟიშვილი ექიმები არიან და ისინიც მამასავით ხშირად ჩადიან საქართველოში.

კ. ტერნოვოის დამსახურებე ბევრჯერ აღინიშნა მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით. მას მიენიჭა პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენი, ორი შრომის წითელი დროშის ორდენი, „საპატიო ნიშნის" ორდენი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები.

ქართველმა ქირურგებმა იგი რესპუბლიკის საპატიო ქირურგად აირჩიეს და როდესაც გიორგი მუხაძის სახელობის მედალი გადასცეს, კონსტანტინე გულში თავის ძმადნაფიცს „გაესაუბრა" — ეს შენი მედალია, ძმაო!

ღრმად არის დარწმუნებული კ. ტერნოვოი, თენგიზი რომ ცოცხალი ყოფილიყო, აუცილებლად სახელოვანი ადამიანი იქნებოდა

ყოველ წელს, თენგიზის დაბადების დღეს, იგი ჩამოდის საქართველოში.

— ასე იქნება მუდამ, სანამ მე ცოცხალი ვარ და მერეც, ჩემი ბიჭები ამ ტრადიციას არ უღალატებენ, — გვეუბნება კ. ტერნოვოი და თვალებზე მომდგარ ცრემლებს ვეღარ იკავებს.

და ვინ მოთვლის, იმ შავბნელ დღეებში მის მსგავსად რამდენმა უკრაინელმა პოვა თბილი გული და მშობლიური კერა საქართველოში.

დღეს ყველას ახსოვს საქართველო.

გამოწვევა მიიღეთ, კობერიძეებო!

უკრაინის ქალაქი ენაკიევო თითქოს ჩვენს რუსთავს მოგვაგონებს. მსგავსებას, ალბათ, უპირველესად, მეტალურგიული ქარხნის კარგად ცნობილი სილუეტი იწვევს და შემდეგ... შემდეგ ენაკიეველი მეფოლადეები თავიანთ ქართველ კოლეგებზე რომ ალაპარაკდებიან, მიხვდებით, რომ მსგავსება შემთხვევითი არ ყოფილა. საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილი შრომითი ვახტის დღეებში უკრაინელ მეფოლადეთა ერთ-ერთი ჩქაროსნული ნადნობი ვარდიშ კობერიძეს მიეძღვნა. ასობით ტონა თუჯი ჩაიწერეს მაშინ ენაკიეველმა ოსტატებმა პირად ანგარიშზე.

ვარდიშ კობერიძის სახელი აქ მარტო უფროსი თაობის ხალხმა კი არ იცის, ახალგაზრდა თაობამაც კარგად უწყის, თუ როგორ დაიწყო ქართველმა ჭაბუკმა თუჯის დნობის ურთულესი პროფესიის დაუფლება, იციან ისიც, რომ რამდენიმე წელიწადში იგი კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო მექურე გახდა, სოციალისტური შრომის გმირის სახელიც მიენიჭა. მერე თავის გამოცდილებას სხვებს უზიარებდა, ახალგაზრდობას დამრიგებლობდა.

ვარდიშის ორი ვაჟი მამის კვალს გაჰყვა. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობენ. ენაკიეველ ახალგაზრდა მეფოლადეებს მათთან შრომითი მეტოქეობა სურთ. ესეც შრომითი პაექრობის გაგრძელება იქნება.

მიიღეთ გამოწვევა, უმცროსო კობერიძეებო!

დონეცკის ოლქი. „დონბასის კომკავშირელის" ახალ შახტში მოქმედებს მექანიზებული კომპლექსები, ფართოდ იყენებენ ელექტროტექნიკას, რომელიც ტექნოლოგიურ პროცესებს მართავს. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად უმსუბუქებს შრომას მეშახტეებს.

შახტის კოლექტივი ყოველ დღე-ღამეში იღებს 8600 ტონა ქვანახშირს. წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით დაახლოებით 55000 ტონა სათბობია მოპოვებული.

სურათზე: ვლადიმერ ჩუხუბოვის (ცენტრში) მოწინავე ახალგაზრდული რგოლი სანგრევში ჩასვლის წინ.

ფოტოობიექტივში საბჭოთა უკრაინა

ლიდია მაიდანიუკი — ჩერკასის საოლქო ფილარმონიის ხალხური გუნდის ბანდურისტი.

ჩერნოვცი. ვიაჩესლავ და ნინო მიგალიუკების ოჯახი შეადგენს მთელ ვოკალურ ანსამბლს „ჩერნობრივცის". შვილებს ტანსაცმელი თვითონ მშობლებმა მოუქარგეს.

(საქტაგის ფოტოქრონიკა).

1981 წელს კიევის დიდების პარკში ყოფილ პარტიზანთა ტრადიციულ შეხვედრაზე (მარცხნიდან): ვ. ბაბუხადია, უკრაინის სსრ უმაღლეს საბჭოსთან არსებული ყოფილ პარტიზანთა კომიტეტის მდივანი პ. კლიმენკო, პარტიზანთა ყოფილი მედიცინის და — ამჟამად პროფესორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. ლუკიანოვა და ორგზის სსრ კავშირის გმირი, პარტიზანული შენაერთის მეთაური ა. ფიოდოროვი.

ი. დავიდზონის ფოტო.

სიმბოლო

მეგობრობის სიმბოლოდ ყველაფერი შეიძლება იქცეს, თურმე უბრალო ნიჩაბიც კი.

„ამ ნიჩაბს, ქალაქ მარგანეცის მაღაროელებს სტენდზე საჩინო ადგილას რომ დაუკიდიათ, თავისი ისტორია აქვს: ფაშისტებმა უკან დახევის დროს ქალაქი და მისი მაღაროები ააფეთქეს. 1944 წელს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან დასახმარებლად მოსულ ეშელონებს შორის იყო მატარებელი ჭიათურიდან. ქართველმა მეგობრებმა მაშინ ძმურად გაგვინაწილეს და გამოგვიგზავნეს რაც შეეძლოთ — 300 ნიჩაბი და წერაქვი, შვიდი კომპლექტი სამარკშეიდერო ინსტრუმენტი, რამდენიმე სანგრევი ჩაქუჩი, ჩარხი და კიდევ... ხელშეკრულება სოციალისტური შეჯიბრების გაგრძელების შესახებ" — ეს ივანე მელნიკოვი ესაუბრება პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულებს.

ამ საუბრის შესახებ შემდეგ თავის მეგობარს, ჭიათურელ მაღაროელს პეტრე ჭიტაძეს მისწერეს იგი და კიდევ დაამატეს: ჩვენს ერთერთ ახალ შახტს ჭიათურის 100 წლისთავის აღსანიშნავად „ჭიათურის" შახტი ვუწოდეთ. ავაშენეთ ახალი ქალაქი ორჯონიკიძე. ამასთან ვეტერანი მუშა თანამოსაქმეს მადლობას უხდის მათი კონსტრუქციის პულტსადენისათვის და ატყობინებს, რომ იგი ჩინებულად მუშაობს გრუშევის მამდიდრებელ ფაბრიკაში. დასასრულ თავისი მეგობრების აზრს გადასცემს მელნიკოვი პეტრეს: სიახლის სწრაფი დანერგვისათვის სპეციალისტთა ბრიგადების ურთიერთგაცვლა არის საჭირო.

თავის მხრივ პ. ჭიტაძე საპასუხო წერილში მადლობას უხდის პარტნიორებს ტირისტორული გარდამქმნელებისათვის, რომლებიც აქაც, მაგნიტურ სეპარაციებზე, მშვენივრად მუშაობენო.

დედააზრი?

უკრაინელი და ქართველი მაღაროელების შეჯიბრების დედააზრი მოკლედ ასე გამოიხატება — „ვესწრაფვით პირველობას, ამასთან ერთმანეთს ვუზიარებთ ყოველ სიახლეს".

ქართველი უკრაინელი და უკრაინელი უკრაინელი

ესენი ფოთელი გ. გოგოლი და ჟდანოველი ვ. ბორშჩენკო არიან. უკანასკნელი, რასაკვირველია, წმინდა უკრაინელია; ხოლო რაც შეეხება პირველს, აქ ლიტერატურულ რემინისცენციას ვერ ავცდებით. არ შეიძლება არ გაგახსენდეთ გოგოლი ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღებიდან". როგორ ქართველობს ჭიჭიკო გოგოლი. თავის თავს ისევე თვლის ქართველად, როგორც ნაკაშიძე და დევდარიანი, რადგან მამამისი, პაპამისი ქართულ მიწას ჰყვანან მიბარებული, რადგან ქართულ ზეცას უყურებს დაბადებიდან დღემდე და რადგან პირველი სიტყვა ქართულად წარმოთქვა. ამიტომ გოგოლ-ბორშჩენკოს ურთიერთობა ისეთივე ქართულ-უკრაინულია, როგორც ჭიტაძე-მელნიკოვისა, რადგანაც გოგოლს თავი ისევე ქართველად მიაჩნია, როგორადაც ჭიტაძეს.

ფოთელი და ჟდანოველი დოკერების გ. გოგოლის და ვ. ბორშჩენკოს ბრიგადებმა სულ ახლახან დადეს შეჯიბრების ხელშეკრულება. ამის შემდგომ მათ მძლავრი გადმოსატვირთი ტექნიკა შეემატა, რის გამოც საჭირო გახდა ამ ხელშეკრულების კორექტირება. და აი, უკრაინაში იღებენ რადიოგრამას: გადავწყვიტეთ წლიური გეგმა შევასრულოთ არა სსრ კავშირის 60 წლისთავის იუბილესათვის, როგორც ეს წინა ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, არამედ რამდენიმე დღით ადრე. გეგმის გადამეტებით 10 ათას ტონა ტვირთს გადავამუშავებთ. დავეხმარებით რკინიგზელებსაც, ვიმუშავებთ ვარიანტით გემი — ვაგონი. გ. გოგოლი.

საპასუხო რადიოგრამა: მდგომარეობა ჩვენთანაც შეიცვალა. ახლა რეიდზე მდგომი გემები სულ დიდი, ორ დღე-ღამეს ელიან გადმოტვირთვას (გახსოვთ, ადრე შემოსვლიდან მხოლოდ ხუთი-ექვსი დღის შემდეგ ვახერხებდით მათს გადმოტვირთვას). იუბილესათვის ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით 100 ათას ტონამდე ტვირთს დავამუშავებთ. წლიური დავალებები 15 დეკემბრისათვის უნდა შევასრულოთ. წლის ბოლომდე დავზოგავთ 110 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას, 35 ტონა პირობით სათბობს. ვ. ბორშჩენკო.

ეჭვი არ არის, წლის ბოლოს მისალოც რადიოგრამებს გაუცვლიან ერთმანეთს ფოთელი და ჟდანოველი ნავსადგურის მუშაკები.

სოფელი ღონიერია

ნათელი, ლამაზი, თავისებური ხალხური კოლორიტით გამოირჩევა უკრაინული სოფლები. მათი რიცხვი 22 ათას აღემატება. თითქმის ყოველ ოლქშია ივანოვკები, ვასილევკები, პეტროვკები და პავლოვკები, ასეთია უძველესი ტრადიცია. მაგრამ სიძველე ნაკლებად გვხვდება სოფლის იერსახეში. მუზეუმებს ჩაბარდა თეთრი ხატები და ვიწრო, მინგრეული ქუჩები.

მარინის რაიონის სოფელ ელიზავეტოვკაში შედის კოლმეურნეობა „ოქტომბერი" — იგი საკავშირო კონკურსზე საბჭოთა კავშირში საუკეთესოდ ცნეს.

ქართველ და უკრაინელ სოფლის მეურნეობის მშრომელთა ძმობის სიმბოლოდ მახარაძის რაიონისა და გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეთა მეგობრობა იქცა.

პრინციპი, რომელიც ჭიათურელ და მარგანეცელ მაღაროელთა სოცშეჯიბრებას უდევს საფუძვლად — „ვესწრაფვით პირველობას, ამასთან ერთმანეთს ვუზიარებთ ყოველგვარ სიახლეს", სოფლის მეურნეობაშიც მოქმედებს. ლვოვის ოლქის მეცხოველეები საინტერესო სიახლეს სთავაზობენ ქართველ კოლეგებს. აი ისიც: ოლქის მეურნეობებში რძის წარმოების ნაკადურ-საამქრო სისტემაა დანერგილი. ოლქის მშრომელები შრომის ორგანიზაციის სამრეწველო მეთოდებს იყენებენ, რის მეოხებითაც მნიშვნელოვნად მეტ მეცხოველეობის პროდუქციას აწარმოებენ.

ნაკადურ-საამქრო სისტემას უფრო და უფრო მეტი მიმდევრები უჩნდება. [illegible]

ხამს მოყვარე, მოყვარისათვის...

[illegible]

ტრადიციები

[illegible]

მეგობრობა თუ არ გაკავშირებს

[illegible]



ჩვენდა საბედნიეროდ, ამ ქვეყნად არიან დიდად დამსახურებული, ღვაწლმოსილი ადამიანები, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩუმად, უხმაუროდ აკეთებენ სასარგებლო და მნიშვნელოვან საქმეს, მათ დრო მხოლოდ თავისი პროფესიისათვის და მისი მეშვეობით ქვეყნის, ერის სამსახურისათვის ემეტებათ. ამიტომაც ასწრებენ ასე ბევრს. მათი კვალი ისევე ღრმად და დიდხანს რჩება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც გუთნისა ყანაში. აი ამგვარ ჭეშმარიტ მამულიშვილთა რიგშია მეცნიერი-ლიტერატორი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე სერგი ჭილაია, რომელსაც ახლახან დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

სერგი ჭილაიამ 1936 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და დატოვეს ასპირანტად. მას 1940 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, 1960 წელს კი — დოქტორის სამეცნიერო ხარისხები.

ახალგაზრდა მეცნიერი-ლიტერატორის ყურადღება თავიდან XIX საუკუნის მწერლობისადმი იყო მიმართული. მისი პირველი წიგნები „ვახტანგ ორბელიანი" (1940 წ.) და „ლიტერატურული წერილები" (1946 წ.) ქართული კლასიკური მწერლობის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის ნიმუშებია. აქ განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ რჩეულიშვილის და სხვათა შემოქმედების ახლებური ანალიზი, ავტორის მიერ გამოტანილი ზოგადი ხასიათის თეორიული დასკვნები და კონკრეტული დაკვირვებანი. ამავე წიგნში გვთავაზობს ავტორი ქართული ლიტერატურის ისტორიის მისეულ პერიოდიზაციას და სამართლიანად

ცხოვრება ერის მსახურად

შექმნის ისეთსავე მშვენიერ, ღრმა მეცნიერულ წიგნებს, როგორიცაა მისი „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია", რომელმაც ქართულ და რუსულ ენებზეც დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ წიგნში სერგი ჭილაიამ პირველად დაუთმო განსაკუთრებული ყურადღება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების სისხლხორცეულ, სიღრმისეულ კავშირებს ქართულ კლასიკურ მწერლობასთან და, ამავე დროს, მისი პოეზიისათვის საერთოდ მეოცე საუკუნის მოდერნიზმის, კერძოდ სიმბოლისტური პოეტიკის მნიშვნელობაც ბოლომდე გაარკვია.

საერთოდ, უნდა ითქვას, ის, რაც ადრე სერგი ჭილაიას წიგნებსა და გამოკვლევებში კონსპექტურად, კონტურებით იყო მოხაზული, თანდათან ივსებოდა ფერ-ხორცით, ღრმავდებოდა, სრულდებოდა, იხვეწებოდა და ყოველ ახალ წიგნში ახალი მეცნიერულ-ლიტერატურული სიმაღლით გვეცხადებოდა. ასეა მისი მონოგრაფიებიც, რომლებიც უახლესი ქართული მწერლობის კურსს შეადგენს, ასეთივე პირი უჩანს ქართული საბჭოთა ეპოქის ლიტერატურული პროცესების მისეულ ხედვას. პირველ, ურთულეს პერიოდზე, ოციან წლებზე, როცა ლიტერატურული დაჯგუფებების ქიშპობა და საერთო გზის ძებნის სიძნელე უკიდურესობამდე ძაბავდა ატმოსფეროს, სერგი ჭილაიამ სულ ამ ცოტა ხნის წინათ უკვე გამოაქვეყნა

ოსნობით თუ შემწეობით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო ქართული ლიტერატურის განვითარებასაც და მისი სახელის შორს გატანასაც. სერგი ჭილაიას საზოგადოებრივი მოღვაწეობის მასშტაბები უფრო თვალნათლივი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ იგი სამჯერ იყო არჩეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ორჯერ კი — რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში.

ქართულ საბჭოთა მწერლობასთან მარტო მისი მეცნიერული შესწავლის მიზანი როდი აკავშირებს სერგი ჭილაიას, იგი თითქმის ნახევარი საუკუნეა თვადაც ეწევა კრიტიკოსის მძიმე უღელს. ამ ხნის მანძილზე ქართული საბჭოთა სალიტერატურო კრიტიკის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული სერგი ჭილაიას სახელთან.

იუბილარმა უფრო მოგვიანებით, სამოციანი წლების დასასრულს მხატვრული პროზის ნიმუშებიც გამოაქვეყნა. ზედიზედ დაიბეჭდა მისი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ქრონიკები: „ეკატერინე ჭავჭავაძე" და „შვილები", მეოცე საუკუნის კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების მხატვრული ქრონიკები „მე და ჩემი პროფესორი".

ალექსანდრე ჭავჭავაძის ულამაზესი ასულის, ეკატერინეს (რომლის სახელიც ეწოდა ქრონიკების პირველ წიგნს) ერთდროულად ბრწყინვალე და ტრაგიკული ბიოგრაფია მშვენიერი ფონია მწერლისათვის, რომ მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკური, სოციალური და კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრება მისი არსებითი ნიშნებით გაგვიხსნას. კახეთის თავადის ასულის და სამეგრელოს დედოფლის ბიოგრაფიის ფართო

მათი ღვაწლი გვავალებს

მეგობრობის წელიწადი შეიძლება ვუწოდოთ ათას ცხრაას ოთხმოცდაორს — წელიწადს, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხები დღესასწაულობენ ერთად შეკავშირების, ერთად შრომისა და ბრძოლის სამოცი წლის თავგადასავალს.

დღეს კეთილმოგონებებით ვართ აღსავსე იმათ მიმართ, ვინც ამ მეგობრობის და ძმობის სანუკვარ გრძნობებს სჭედდა თავის შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე.

ჩვენი თაობის ქართველ მხატვრებს რა დაგვავიწყებს სახელმოხვეჭილი რუსი მხატვრის, აკადემიკოს ევგენი ლანსერეს დიდ შემოქმედებას, მის მზრუნველ და გულისხმიერ სამხატვრო აღმზრდელობით მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

არ შეიძლება ევგენი ლანსერეს გვერდით არ ვახსენოთ საქართველოში მოღვაწე მხატვრები: იოსებ შარლემანი, ელიშე თათევოსიანი, ოსკარ შმერლინგი, ჰენრიხ ჰრინევსკი, რომელთაც ღირსმნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქართული მხატვრული კულტურის განვითარებაში. ჩვენ, ქართველი მხატვრები, მუდამ მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ რუსული საბჭოთა მხატვრობის ერთ-ერთ ფუძემდებელს სერგი გერასიმოვს, რომელიც ნამდვილად მეგობრული და ძმური დამოკიდებულებით

ჩენილი მხატვრული კულტურის მესიტყვე მოღვაწეს მოძმე ხალხთაგან.

ქართველ ხალხს თავის საუკუნეობრივ ჭირსახდიელში თანაგრძნობით და კეთილმოსურნე დამოკიდებულებით მხარში უდგნენ რუსული და საზღვარგარეთული

ფასდაუდებელი ამაგი დასდო „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულად დასურათების საშვილიშვილო საქმეს. ამ საქვეყნოდ ცნობილი მხატვრის უანგარო და უკეთილშობილეს ქცევას, ძმურად, სიყვარულით გამოწვდილ ხელს რუსთაველის სადიდებელში არასო-

ხეები ამ ამაგდარი მოღვაწეებისა, და ეს ნამუშევრები შემდგომ უთუოდ ბინას დაიდებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეგობრობის მუზეუმში.

უჩა ჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო მხატვარი.

ზამთრის ეტიუდები

გვიან ამოდის ქალაქში მზე, აღარ იგრძნობა მისი მცხუნვარება და სითბო. მაგრამ რა სწორად არის ნათქვამი: წელიწადის ყოველ დროს აქვს თავისი სილამაზე, თავისი უცნაურობა, თავისი ცხოვრება.

მხატვარს მაშინვე ებადება სურვილი ტილოზე აღბეჭდოს, დაიხსომოს ბოტანიკური ბაღის ზამთრის ფერები, მისი მშვიდი ხეივნები, რომლებშიც მიმოფანტულია, თითქოსდა მძინარე ხეებიდან ჩამოცვენილი ფოთლები.



სურათებზე: თბილისის ბოტანიკურ ბაღში...
ვ. პეტროსიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყაბახი

ჭადრაკის დაფებთან

ტალინი

გრძელდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ქალთა შორის. მეხუთე ტურში წერეთელი და გურიელი ყაიმზე შეთანხმდნენ. ქულა გაიყვეს აგრეთვე იოსელიანმა და ჩეხოვამ. გადაიდო ეპშტეინ-ხუგაშვილისა და კულიკოვა-არახამიას პარტიები.

ხუთი ტურის შემდეგ ნ. გურიელს 3,5 ქულა აქვს, ნ. იოსელიანს — 3; მ. წერეთელს — 2,5 (1); თ. ხუგაშვილს — 2 (2); ქ. არახამიას — 0,5 (2).

თელავი

საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა პირველი ლიგის ჩემპიონატის მონაწილეებმა, რომელთა შორის 5 საერთაშორისო დიდოსტატი, 10 საერთაშორისო ოსტატი და 3 სპორტის ოსტატია, უკვე ექვსი ტური ითამაშეს.

დღეისათვის ლიდერები არიან ერევნელი დიდოსტატი რ. ვაგანიანი და თბილისელი საერთაშორისო ოსტატი გ. ზაიჩიკი. მათ 4,5-4,5 ქულა აქვთ. ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ვ. ჩეხოვს (მოსკოვი), ა. შნეიდერს (ლვოვი) და ლ. იუდასინს (ლენინგრადი). 3,5-3,5 ქულა აქვთ უ. ცეშკოვსკის (კრასნოდარი) და თბილისელ ე. უბილავას.

კიევის „დინამოს" მეტოქე — „ჰამბურგი"

კიევის „დინამოს" მეტოქე ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გფრ-ის „ჰამბურგი" იქნება.

ჩვენი ინტერვიუ

„ეირენე" — ანტიკური კულტურის მკვლევართა საერთაშორისო ფორუმი

ამას წინათ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღაში ცენტრალური ევროპის უძველეს კარლის უნივერსიტეტში გაიმართა „ეირენეს" XVI საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ანტიკური სამყაროს კვლევის პრობლემებს მიეძღვნა.

„ეირენეს" კონფერენციაზე მსოფლიოს მრავალი სამეცნიერო ცენტრის 40-ზე მეტი მკვლევარი იყო მიწვეული. სოციალისტური ქვეყნების გარდა, მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ავსტრიის, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, იტალიის, იაპონიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების წამყვანი მეცნიერები. კონფერენციაზე ყველაზე მრავალრიცხოვანი საბჭოთა დელეგაცია იყო, რომელშიც ხუთი ქართველი მკვლევარი შედიოდა.

ფორუმის მონაწილეთა დიდი

ქიფანიძეს და სთხოვა მკითხველებისათვის გაეცნო, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა „ეირენეს" საერთაშორისო კონფერენციას და რა შედეგები მოჰყვა მას.

— „ეირენეს" კომიტეტი 25 წლის წინათ, შეიქმნა. — გვითხრა მან, — მისი მიზანია ხელი შეუწყოს სოციალისტური ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებსა და მეცნიერებათა აკადემიების ინსტიტუტებში კლასიკური კულტურების შემსწავლელ დისციპლინათა განვითარებას და მსოფლიოს წამყვან სპეციალისტთა ურთიერთობის განმტკიცებას. ამასთან, „ეირენე" ჰუმანიტარულ დარგებში სოციალისტური ქვეყნების მკვლევართა თანამშრომლობის ერთ-ერთი ძლიერი სამეცნიერო გაერთიანება გახლავთ. თავისი არსებობის მანძილზე კომიტეტმა ფართო მასშტაბის სამეცნიერო ფორუმები გამართა „ეირენეს" კომიტეტის წევრ ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც.

ლაქ არქეოპოლიაში". ჩემი გამოსვლა კი მიეძღვნა ახალ აღმოჩენებს ვანის ნაქალაქარში. მრავალი ევროპელი მკვლევარისათვის მოულოდნელი იყო საქართველოში წარმოებული გათხრების ფართო მასშტაბები, აქ აღმოჩენილი მასალის მრავალფეროვნება და მნიშვნელობა ძველი კულტურების შესწავლის საქმეში.

კლასიკური ფილოლოგიის ქართული სკოლა წარმოდგენილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის მეცნიერი ხელმძღვანელის, პროფესორ რისმაგ გორდეზიანის მოხსენებით „ეგეოსურ-კავკასიური ურთიერთობისათვის მიკენურ ეპოქაში", ხოლო ბიზანტინოლოგიისა — ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ნელი მახარაძის მოხსენებით „ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა ბიზანტიური პერიოდის ბერძნული ენის ფონეტიკის შესასწავლად".



მუშაკები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე
გიორგი ილარიონის ძე კალანდარიშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 09530 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.